საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის

ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მესამე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

მამუკა ნოზაძე - კოლეგიის თავმჯდომარე

ანა კოტეტიშვილი - კოლეგიის წევრი

ბესარიონ ბოხაშვილი - კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: რ. კ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.04.2022

საჩივრის რეგისტრაციის 030/22

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ ვ. გ.-ს /სიითი №/ მიმართ

საჩივრის მოთხოვნა: ადვოკატ ვ. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას 2022 წლის 14 აპრილს საჩივრით მომართა რ. კ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ვ. გ.-სათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება. საჩივრის ავტორმა მონაწილეობა მიიღო 2022 წლის 04 მაისს გამართულ საპროცესო კოლეგიის სხდომაში.

1.2 საჩივრის ავტორის განმარტებით, ვ. გ. არის მისი მოწინააღმდეგე მხარის ამხანაგობა „------ 3“ -ის ადვოკატი. რ. კ-ის განცხადებით, ადვოკატი ვ. გ. ამხანაგობის თავმჯდომარეს - გ. გ-ეს ეხმარება თვალთმაქცური გარიგებების დადებაში, კორუფციულ საქმიანობასა და ფულადი ვალდებულების შეუსრულებლობაში. ადვოკატი ვ. გ. აჭიანურებდა საქმის წარმოებას და ყველა საქმეს გაუვიდა ხანდაზმულობის ვადა.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. გ. ხელს უშლიდა ამხანაგობა „------ 3“-ის თავმჯდომარესთან - გ. გ-სთან დაკავშირებაში; არ აწვდიდა მას გ. გ-ის საკონტაქტო ინფორმაციას და ეუბნებოდა, რომ გ. გ-ძე არის „მკვდარზე ვენოკი“, და რწმუნებულების საფუძველზე ყველა საქმეს ის - ვ. გ. მართავდა.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. გ. სატელეფონო კომუნიკაციისას აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას, კერძოდ, უწოდებდა „თაღლითს“, „თავხედსა“ და „უზრდელს“.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. გ. სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა პირისპირ შეხვედრის დროსაც, კერძოდ, ადვოკატისათვის ცნობილი იყო, რომ რ. კ. გადიოდა ქიმიო - თერაპიის კურსს, თუმცა საჩივრის ავტორს ეუბნებოდა, რომ არაფერი სჭირდა და ძალიან კარგად აზროვნებდა.

1.6 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატმა ვ. გ-მა იძულებით დააწერინა ხელწერილი, რომ ის უარს აცხადებდა ამხანაგობა „------ 2006“-ში ასაშენებელ მის კუთვნილ ფართზე, გ. გ-ის სასარგებლოდ.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი ვ. გ. აგრესიით, ცინიზმითა და უცენზურო სიტყვებით მიმართავდა გიზო გოგოძის მიერ სხვა დაზარალებულებსაც: ჯ. ჩ.-ს, თ. ჩ.-ს, ხ. ბ.-სა და ნ. კ.-ს.

2. საჩივრის ავტორის მოწმის ნ. თ.-ს განმარტება:

2.1 მოწმის განმარტებით, 2018 წლის ზაფხულში, ახლობელთან ერთად მივიდა ადვოკატ ვ. გ.-ს ოფისში, სადაც შეესწრო რ. კ.-სა და ადვოკატ ვ. გ.-ს შორის მომხდარ შემთხვევას.

2.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ლანძღავდა და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა რ. კ.-ს, რის შემდეგაც ადვოკატმა თავად ნ. თ.-ს მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა - უწოდა თაღლითი და ნ. თ.-ს მოთხოვნაზე ადვოკატს შეეხვედრებინა ის გ. გ.-სთან, ადვოკატმა ვ. გ-მა უპასუხა: „გ. ბაბუას შეგახვედრებ, არ გინდა?“.

2.3 მოწმის განმარტებით, ადვოკატმა დაუმალა მნიშვნელოვანი დოკუმენტი და ადვოკატის ქმედებებით მას მიადგა მატერიალური ზიანი.

2.4 მოწმის განმარტებით, ადვოკატი ვ. გ. რ. კ.-ს უწოდებდა თაღლითს, მევახშესა და გათახსირებულ ადამიანს.

3. საჩივრის ავტორის მოწმის ლ. ბ.-ის განმარტება:

3.1 მოწმის განმარტებით, 2018 წლის ზაფხულში ნ. თ.-სთან ერთად მივიდა ვ. გ.-ს ოფისში, რა დროსაც შეესწრო რ. კ.-სა და ადვოკატ ვ. გ-ს შორის მომხდარ შემთხვევას.

3.2 მოწმის განმარტებით, ადვოკატი რ. კ.-ს უწოდებდა თაღლითს და ეუბნებოდა, რომ არაფერი სჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ რ. კ.-ს გადატანილი ჰქონდა მძიმე ოპერაცია.

3.3 მოწმის განმარტებით, 2022 წელს, სასამართლო პროცესზე შეესწრო როგორ აყენებდა ადვოკატი ვ. გ. შეურაცხყოფას რ. კ-ის შვილს - ქ.ხ-ს.

4. ადვოკატის პოზიცია

4.1 ადვოკატმა ვ. გ-მა ეთიკის კომისიაში წერილობითი ახსნა-განმარტება წარმოადგინა 2022 წლის 02 მაისს, სადაც განმარტა, რომ რ. კ.-ის საჩივარი არის უსაფუძვლო, დაუსაბუთებელი და არ უნდა დაკმაყოფილდეს. 2022 წლის 04 მაისს ადვოკატი ვ. გ. დაესწრო საპროცესო კოლეგიის სხდომას და წარმოადგინა ზეპირი ახსნა განმარტება საჩივართან დაკავშირებით.

4.2 ადვოკატის განმარტებით, ის 2018 წლიდან წარმოადგენს ამხანაგობა „------ 3“-ის ადვოკატს. რ. კ. იყო შუამავალი გამსესხებლებსა და ამხანაგობა „------ 3“-ს შორის, რის სანაცვლოდაც ყოველი ნასესხები თანხიდან საჩივრის ავტორი იღებდა საშემოსავლოს 10-15 პროცენტს. ასევე, გარკვეულ თანხას იღებდა ამხანაგობის თავმჯდომარე - გ. გ-საგან.

4.3 ადვოკატის განმარტებით, ის რ. კ.-ს მხოლოდ ორჯერ შეხვდა, როცა საჩივრის ავტორი საკუთარ ოფისში შეახვედრა ადვოკატ თ. მ-ს. ადვოკატის განცხადებით, რ. კ.-სა და თ.მ-ს უნდა გაერკვიათ ჰქონდა თუ არა ამხანაგობა „------ 3“-ის თავმჯდომარე გ. გ-ს რ. კ-ის წინაშე შესასრულებელი ფულადი ვალდებულება.

4.4 ადვოკატის განმარტებით, რ. კ.-სთან მეორე შეხვედრას ესწრებოდნენ ნ. კ და რ. კ-ის შვილი - ყოფილი ნოტარიუსი ქ. ხ. აღნიშნულ შეხვედრაზე რ. კ. და ნ. კ მოურიგდნენ ადვოკატ თ. მ.ს, რის შემდეგაც, რ. კ. მ თავისი ნებით დაწერა ხელწერილი, სადაც ის უარს აცხადებდა ამხანაგობა „------ 2006“-ში არსებულ მის კუთვნილ წილზე, გ. გ-ის სასარგებლოდ.

4.5 ადვოკატის განმარტებით, რ. კ.-მ პოლიციასაც მიმართა განცხადებით, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ვ. გ-მა იძულებით მოაწერინა ხელი შეთანხმებაზე, თუმცა განცხადება იყო უსაფუძვლო და სამართალდამცავმა ორგანომ რეაგირების გარეშე დატოვა.

4.6 ადვოკატის განმარტებით, მას არასდროს მიუყენებია შეურაცხყოფა რ. კ-სთვის, ასევე არ შეესაბამება სინამდვილეს საჩივრის ავტორის განმარტება, რომლის მიხედვითაც ის შეურაცხყოფას აყენებდა ჯ. ჩ.-ს, თ. ჩ.-ს, ხ. ბ.-სა და ნ. კ.-ს. ადვოკატის განცხადებით, დასახელებულ პირთაგან ერთს - თ. ჩ.-ს საერთოდ არ იცნობს.

4.7 ადვოკატის განმარტებით, ის არ წარმოადგენს რ. კ-ის, ისევე როგორც მის მიერ დასახელებული სხვა პირების ადვოკატს. აღნიშნული პირები არიან მისი კლიენტის - ამხანაგობა „------ 3“-ის თავმჯდომარის - გ. გ-ის პროცესუალური მოწინააღმდეგეები. ის, როგორც ადვოკატი, ყველა კანონიერ საშუალებას იყენებს საკუთარი კლიენტის დასაცავად და არ არის ვალდებული და უფლებამოსილი საადვოკატო მომსახურება გაუწიოს მისი კლიენტის მოწინააღმდეგეებს და დაიცვას მათი ინტერესები.

4.8 ადვოკატის განმარტებით, მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, რ. კ-ის შვილი, ქ.ხ, მცირეწლოვან შვილთან ერთად ხშირად მიდიოდა მასთან ოფისში და სთხოვდა სესხის სახით თანხის გაცემას. ადვოკატის განცხადებით, ის არაერთხელ დაეხმარა რ. კ-ის შვილს, რაც დასტურდება ეთიკის კომისიაში წარმოდგენილი ხელწერილებით.

4.9 ადვოკატის განმარტებით, ის, როგორც ამხანაგობა „------ 3“ - ის წარმომადგენელი, აპირებს სასამართლო დავა დაიწყოს რ. კ.-სა და ნ. კ-ის მიმართ და ასევე მიმართოს პროკურატურას რ. კ-ის ქმედებების გამო.

4.10 ადვოკატის განმარტებით, რუსუდან კაკაბაძის საჩივარში აღწერილი გარემოებები, თითქოს ის ფლობდა ინფორმაციას, რომ რ. კ. მედიკამენტოზურ მკურნალობის კურსს გადიოდა, ის კი ეუბნებოდა: „არაფერი არ გჭირს, კარგად აზროვნებ“, არ შეესაბამება სინამდვილეს და ასეთი საუბარი მათ შორის არასდროს წარმართულა. 2022 წლის 04 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა ვ. გ-მა განმარტა, რომ მას არც სასამართლოში მიუყენებია შეურაცხყოფა რ. კ-ისა და რ. კ-ის შვილის - ქ. ხ-სთვის.

II სამოტივაციო ნაწილი

5. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

5.1 ადვოკატი ვ. გ. არის საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის მოქმედი წევრი, სიითი №, სპეციალიზაცია - საერთო, ბავშვთა უფლებები (სამოქალაქო).

5.2 რ. კ.-მ ადვოკატთა ეთიკის კომისიას მომართა 2022 წლის 14 აპრილს.

5.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2018-2022 წლებში. „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32.2 მუხლის შესაბამისად დაცულია ეთიკის კომისიისთვის მომართვის ვადა.

6. შემაჯამებელი დასკვნა

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ ვ. გ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 32–ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების 30–ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზია, რომლის მიხედვითაც ადვოკატმა ვ. გ-მა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, კერძოდ, უწოდა თაღლითი, თავხედი, უზრდელი, ასევე ადვოკატისთვის ცნობილი იყო, რომ რ. კ. გადიოდა ქიმიო-თერაპიის კურსს, თუმცა ის ეუბნებოდა: „არაფერი არ გჭირს, ძალიან კარგად აზროვნებ“. ეთიკის კომისიამ იმსჯელა ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ შემდეგი მუხლების შესაძლო დარღვევაზე:

„ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის გ) ქვეპუნქტი: ადვოკატი ვალდებულია არ შელახოს სასამართლოს და პროცესის სხვა მონაწილეთა უფლებები.“

,,ადვოკატთა შესახებ'' საქართველოს კანონის მე–5 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები.“

ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის 9.4 მუხლი: „ადვოკატისა და სასამართლოს ურთიერთობის მარეგულირებელი წესები ასევე ვრცელდება ადვოკატის ურთიერთობაზე პროცესის მონაწილეებთან.“

7.2 ,,...ადვოკატმა პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას უნდა დაიცვას არა მხოლოდ საკუთარი კლიენტის ინტერესები და უფლებები, არამედ პატივი უნდა სცეს პროცესის სხვა მონაწილე პირთა უფლებებს, მათ შორის მოწინააღმდეგე მხარეს.“ (ეთიკის კომისიის 2011 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე 075/10)

7.3 საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ საქმეში „საქართველოს მოქალაქეები გიორგი ყიფიანი და ავთანდილ უნგიაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ (საქმე №1/3/421.422; 2009 წლის 10 ნოემბრის გადაწყვეტილება) იმსჯელა გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის საფუძვლების თაობაზე და დაადგინა: „გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვის შედარებით ფართო დისკრეცია სახელმწიფოს შეიძლება მიენიჭოს მაშინ, როდესაც შეზღუდვას დაქვემდებარებული გამოხატვა უხამსი შინაარსისაა. გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა დასაშვებია მაშინაც, თუ გამოხატვა ეწინააღმდეგება დამკვიდრებულ მორალურ ნორმებს.“

7.4 საპროცესო კოლეგია აღნიშნავს, რომ როდესაც საჩივრის ავტორი დაობს ადვოკატის მიერ მისთვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტზე, მას ეკისრება მოპასუხე ადვოკატის სადავო ქცევის დადასტურება, შესაბამისად, საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით კომისიას უნდა შეექმნას დასაბუთებული ვარაუდი, რომ სადავო ქმედება, რაც სამართლებრივად უნდა შეაფასოს ეთიკის კომისიამ ჩაიდინა მოპასუხე ადვოკატმა.

7.5 ადვოკატის მიერ სადავო ქცევის დასადასტურებლად, საჩივრის ავტორმა წარმოადგინა წერილობითი და ზეპირი ახსნა-განმარტება, სადაც განმარტა, რომ ადვოკატი ვ. გ. მიმართავდა უცენზურო სიტყვებით, კერძოდ, უწოდებდა თაღლითს, თავხედს, უზრდელს და მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატისათვის ცნობილი იყო რუსუდან კაკაბაძის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, პირისპირ კომუნიკაციისას ეუბნებოდა „არაფერი, არ გჭირს, ძალიან კარგად აზროვნებ.“ რ. კ.მ საკუთარი პოზიციის გასამყარებლად წარმოადგინა მოწმეები, რომლებიც გამოიკითხნენ 2022 წლის 04 მაისის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე.

7.6 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საპროცესო ეტაპზე ფაქტების დადგენა არ ხდება, თუმცა დისციპლინური დევნის აღძვრის ან აღძვრაზე უარის შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას კოლეგია ხელმძღვანელობს მხარეთა ახსნა-განმარტებებისა და მტკიცებულებათა შესწავლის საფუძველზე და სადავო ფაქტებს განიხილავს დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით. მაშინ როდესაც, მხარეთა ახსნა-განმარტებები ურთიერთგამომრიცხავია, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სადავო ფაქტთან შემხებლობის მქონე სხვა მტკიცებულებებს. „დასაბუთებული ვარაუდი წარმოადგენს ფაქტების ან ინფორმაციის ერთობლიობას, რომელიც მოცემული დისციპლინური საქმის წარმოების მასალების მიხედვით დააკმაყოფილებდა ნეიტრალურ მეთვალყურეს, რათა დაესკვნა დისციპლინური გადაცდომის შესაძლო ჩადენა“ (სუსგ დს/შ10-13, 16.10.2013).

7.7 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, თითოეულ მხარეს ეკისრება იმ გარემოებების მტკიცების ვალდებულება,

რომლებზეც ის ამყარებს საკუთარ პოზიციასა და მოთხოვნას. მოცემულ შემთხვევაში საჩივრის ავტორს ეკისრება პოზიტიური ვალდებულება, ეთიკის კომისიას წარუდგინოს საკუთარი პოზიციის დამდასტურებელი უტყუარი მტკიცებულებები, ვინაიდან განსახილველ შემთხვევაში, ადვოკატ ვ. გ.ს მიერ რუსუდან კაკაბაძისათვის შეურაცხყოფის მიყენების ფაქტი, სწორედ საჩივრის ავტორის - რუსუდან კაკაბაძის სამტკიცებელია.

7.8 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 ნაწილის თანახმად, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.“ მოცემულ შემთხვევაში, საპროცესო კოლეგია შემაჯამებელი გადაწყვეტილების მიღებისას მხედველობაში იღებს იმ ფაქტს, რომ საჩივრის ავტორმა არასათანადოდ შეასრულა მასზე დაკისრებული პოზიტიური ვალდებულება, სათანადო მტკიცებულებებით არ გაამყარა საკუთარი პოზიცია, მიუხედავად იმისა, რომ მას, ეთიკის კომისიაში მტკიცებულებების წარმოდგენის შესაძლებლობა ჰქონდა ნებისმიერ დროს, საპროცესო კოლეგიის მიერ საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, რაც შესაბამისად აისახება საპროცესო კოლეგიის მიერ სამართლებრივი გადაწყვეტილების მიღებაზე. განსახილველ შემთხვევაში, საჩივრის ავტორს, გარდა ახსნა-განმარტებისა და ორი მოწმის ჩვენებისა, რომლებიც წარმოადგენდნენ დაინტერესებულ მხარეებს ამხანაგობასთან „------ 3“ არსებულ სამართლებრივ დავაში, რომლის ადვოკატსაც წარმოადგეს ვ. გ., ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც კომისიას დასაბათუბელი ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნებდა ადვოკატის მიერ რუსუდან კაკაბაძისათვის შეურაცხოფის მიყენების ფაქტში.

7.9 საპროცესო კოლეგიამ განიხილა საჩივრის ავტორის პრეტენზიები, რომელთა მიხედვითაც ადვოკატი ვ. გ. ხელს უწყობდა მის კლიენტს - გ. გ.-ს თაღლითური საქმიანობის განხორციელებაში, კერძოდ, ადვოკატ ვ. გ.-ს სტრატეგიის გამო ხანდაზმულობის ვადა გაუვიდა რ. კ.-ის ხელშეკრულებას; ადვოკატი არ აწვდიდა გ. გ.-ის საკონტაქტო ინფორმაციას; ხელს უშლიდა რ. კ.-ს გ. გ.-სთან დაკავშირებაში და ადვოკატმა იძულებით მოაწერინა ხელი ხელშეკრულებაზე, რომლის მიხედვითაც საჩივრის ავტორი უარს ამბობდა ამხანაგობა „------ 2006“-ში არსებულ მის კუთვნილ წილზე, გ. გ.-ის სასარგებლოდ, რის გამოც დაზიანდა მისი ინტერესები.

7.10 საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ ადვოკატი დამოუკიდებელია პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას. ის ვალდებულია კლიენტის ინტერესების დაცვისას მოქმედებდეს კლიენტის მითითებების შესაბამისად და კლიენტს იცავდეს ყველა კანონიერი საშუალების გამოყენებით. ბუნებრივია, ადვოკატ ვ. გ.-ს მიერ შერჩეულ ტაქტიკასა და მის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებთან დაკავშირებით, რ. კ.-ს გაუჩნდა გარკვეული უკმაყოფილება პროცესუალური მოწინააღმდეგის ადვოკატის - ვ. გ.-ს მიმართ, თუმცა როგორც საქმის მასალებით დასტურდება ადვოკატი ვ. გ. მოქმედებდა კანონის ფარგლებში, კლიენტის საუკეთესო ინტერესების დაცვის მიზნით. მოცემულ შემთხვევაში, ადვოკატი ვ. გ. მოქმედებდა კლიენტის მიერ მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, მისი კლიენტისა და რუსუდან კაკაბაძის პროცესუალური მოწინააღმდეგის - ამხანაგობა „------ 3“-ის დირექტორის გიზო

გოგოძის ინტერესების გათვალისწინებით და ანგარიშვალდებულიც სწორედ კლიენტის წინაშე იყო. დასახელებულ შემთხვევაში, ადვოკატ ვ. გ.-ს კლიენტს პრეტენზია არ გამოუთქვამს ადვოკატის სტრატეგიასა და ადვოკატის მიერ განხორციელებულ სამართლებრივ მოქმედებებზე. საქმის მასალებით იკვეთება, რომ ადვოკატი ვ. გ. ზედმიწევნით ასრულებდა კლიენტის წინაშე ნაკისრ ვალდებულებას. საჩივრის ავტორს საკუთარი პრეტენზიების დამადასტურებლად, გარდა ახსნა-განმარტებისა, ეთიკის კომისიისათვის არ წარმოუდგენია ისეთი მტკიცებულება, რაც საპროცესო კოლეგიას დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით დაარწმუნედა, რომ ადვოკატი ვ. გ. ხელს უშლიდა რ. კ.-ს ამხანაგობა „------- 3“-ის თავმჯდომარესთან - გ. გ.-სთან დაკავშირებაში და საადვოკატო მომსახურების განხორციელებისას მიმართავდა უკანონო საშუალებებს.

7.11 ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ 30-ე მუხლის პირველი პუნქტით, 40-ე მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

III სარეზოლუციო ნაწილი

1. დისციპლინურ საქმეზე №030/22 არ აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ ვ. გ.-ს /სიითი №/ მიმართ.
2. გადაწყვეტილების ასლი ჩაბარდეთ მხარეებს.
3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /მამუკა ნოზაძე/

კოლეგიის წევრი: /ანა კოტეტიშვილი/

კოლეგიის წევრი: /ბესარიონ ბოხაშვილი/